პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის _____ იანვარი; ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა N12; N14; N14ა და N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა N12; N14; N14ა და N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზ-ღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე - მეზღვაურთა ქუჩა N12; N14; N14ა და N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა N12; N14; N14ა და N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა N12; N14; N14ა და N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიღება.

განმცხადებელი - შპს „ჰორიზონს ჯგუფი-ჩაქვი“ (ს/N 445555426).

შპს „ჰორიზონს ჯგუფი-ჩაქვის“ (ს/N 445555426) მიერ მოთხოვნილია: ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა N12; N14; N14ა და N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) სამშენებლოდ განვითარების მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 13,0-მდე. განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე - 125მ.

განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტებისათვის მაკომპენსირებელი განისაზღვროს (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

გ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**